



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 118030/03)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2008 წლის 29 ივლისი

საბოლოო გახდა

29/10/2008

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეში ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ფრანსუა ზ ტულკენსი, თავმჯდომარე,
ანტონელა მულარონი,
ირენეუ კაბრალ ბარეტო,
ვლადიმერო ზაგრებელსკი,
დრაგოლუბ პოპოვიჩი,
ანდრეაშ შაიო,
ნონა წოწორია, მოსამართლეები,
და *ფრანსუა ჯელენს-პასოსი, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,*
განიხილა რა საქმე პალატის 2007 წლის 20 თებერვლის, 2008 წლის 8 იანვრისა
და 8 ივლისის სხდომებზე, გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება

პროცედურა

1. საქმის საფუძველია ბ-ნ *რობერტ ღარიბაშვილის* („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2003 წლის 17 მარტს, სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№11830/03). სასამართლოს რეგლამენტის 34-ე (§3) და 36-ე (§2) მუხლების *in fine* შესაბამისად, განმცხადებელს ნება დაერთო, სასამართლოს წინაშე თავად წარმოედგინა საკუთარი საქმე და წერილობითი საქმისწარმოება განეხორციელებინა ქართულ ენაზე.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) თანმიმდევრულად წარმოადგენდნენ ქ-ნი, ი. ბართაია და ბ-ნი, მ. კეკენაძე, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2005 წლის 5 დეკემბერს სასამართლომ გადაწყვიტა ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების შესახებ. იმავე დღეს, სასამართლომ, კონვენციის 29-ე (§3) მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. 2006 წლის 28 აპრილსა და 6 სექტემბერს მთავრობამ და მომჩივანმა თანმიმდევრულად წარადგინეს სამართლებრივი მიმოხილვები საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ (რეგლამენტის მუხლი 54-ე „ა“).

5. 2007 წლის 20 თებერვალს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო დამატებითი ინფორმაცია მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიის გამოძიების მსვლელობის თაობაზე. მთავრობამ და მომჩივანმა წარადგინეს თავიანთი პასუხები, შესაბამისად, 2007 წლის 23 მარტსა და 5 ნოემბერს.

6. 2008 წლის 6 მაისს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო მხარების მიერ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის („გაერო“) ადამიანის უფლებათა კომიტეტის შესაძლო მონაწილეობის თაობაზე. ინფორმაციის მიწოდების ბოლო ვადა იყო 2008 წლის 18 ივნისი. მხოლოდ მთავრობამ წარადგინა პასუხი (იხ. წგ 39 41).

ფაქტები

საქმის გარემოებები

7. მომჩივანი დაიბადა 1948 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის თბილისის №1 საპყრობილეში.

1. პროცედურა, რომელიც მომჩივნის მსჯავრდებით დასრულდა

8. 2001 წლის 23 მაისს, მომჩივანი დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით, 14 წლის გოგონას გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

9. მომჩივნის თანახმად, რუსთავის პოლიციის განყოფილებაში ყოფნის დროს, 2001 წლის 23-25 მაისს, მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას დაადეს ხელბორკილები, თავზე ჩამოაცვეს აირწინაღი, რათა მისი ყვირილის ხმა არ გასულიყო და სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც მოსტეხეს ყბის ძვალი და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი. მომჩივნის მიმართ ასეთი მოპყრობა, მისივე თქმით, წაქეზებული იყო ქ. რუსთავის კრიმინალური პოლიციის უფროსისა და ქ. რუსთავის პროკურატურის გამომძიებლების, ბატონების მ.-სა და ა.-ს მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ ზემოაღნიშნულ შემთხვევას.

10. 2001 წლის 24 მაისს ექსპერტის დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მომჩივანმა სქესობრივი კავშირი დაამყარა დაზარალებულთან. 2001 წლის 25 მაისს განმცხადებელს ბრალი წარედგინა არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის.

11. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2001 წლის 26 მაისს, განმცხადებელს დაენიშნა ადვოკატი, ბატონი ს. იმავე დღეს, რუსთავის რაიონულმა სასამართლომ მას ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, რის შემდეგაც იგი გადაყვანილ იქნა თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმა თერაპევტმა. მომჩივნის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ თერაპევტმა მის სხეულზე შენიშნა არასათანადო მოპყრობის ნიშნები, აღნიშნული ფაქტი მას არ დაუფიქსირებია ციხის სამედიცინო ჟურნალში.

12. 2001 წლის 11 ივლისს, მომჩივანმა განაცხადა, რომ გამოძიების დროს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საპროცესო დარღვევებს, მოითხოვა ბატონი მ.-ს აცილება და საქმის სხვა გამომძიებლისთვის გადაცემა. მან გამომძიებელს მიკერძოებულობაში დასდო ბრალი, თუმცა არ გამოუთქვამს პრეტენზია ამ უკანასკნელის ან სამართალდამცავი ორგანოების სხვა წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

13. ის ფაქტი, რომ განმცხადებელსა და დაზარალებულს შორის სქესობრივ კავშირს ჰქონდა ადგილი, მოგვიანებით დადასტურდა ექსპერტის დამატებითი, დეტალური დასკვნით, ისევე როგორც სხვადასხვა ნივთიერი მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით. 2001 წლის 12 დეკემბერს, თბილისის საოლქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ სცნო იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც მას წაეყენა ბრალი და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სასამართლო პროცესის დროს, განმცხადებელს არ გამოუთქვამს პრეტენზია მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.

14. 2002 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ, დაუსაბუთებლობის მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო სარჩელი. მომჩივანი თავად ესწრებოდა სასამართლო სხდომას, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და მას არც უზენაესი სასამართლოს წინაშე გაუკეთებია რაიმე სახის განცხადება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, მომჩივანი გადაყვანილ იქნა თბილისის №1 საპყრობილეში.

15. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიის დასასაბუთებლად (იხ. §9), მომჩივანმა მტკიცებულებების სახით წარადგინა ამონაწერები თბილისის №1 საპყრობილის სამედიცინო ჟურნალიდან, რომელიც დათარიღებულია 2003 წლის 16 ივლისით (“2003 წლის 16 ივლისის ციხის სამედიცინო დასკვნა”) და რომელიც ადასტურებს, რომ საჩვენებელი თითები ორივე ხელზე დეფორმირებულ იქნა მოტეხილობათა გამო. თუმცა, აღნიშნულ მოტეხილობათა წარმომავლობა ვერ დადგინდა. მომჩივნის ყბის ძვლის მოტეხილობის არანაირი კვალი არ ყოფილა გამოვლენილი.

2. არასათანადო მოპყრობისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებთან დაკავშირებით მომჩივნის მიერ შეტანილ საჩივრებზე წარმოებული პროცედურები

(ა) საჩივრის მთავრობისთვის კომუნიფიცირებამდე

16. 2002 წლის 23 მაისს, მომჩივანმა საჩივრით მიმართა გენ. პროკურატურას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პროცედურულ დარღვევებს, მათ შორის, საკასაციო წარმოების პერიოდში - 2002 წლის 16 აპრილს. მან

მოითხოვა ახალი სასამართლო პროცესის ჩატარება. მან *inter alia* წამოჭრა საკითხები, რომლებიც ეხებოდა ექსპერტიზის დასკვნებისა და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების გაყალბებას, სასამართლო პროცესის დროს სათანადო იურიდიული დახმარების არარსებობას, ასევე შესაძლებლობის არქონას, დაპირისპირებოდა მოწმეებს. არავითარი განცხადება არ გაკეთებულა არასათანადო მოპყრობის თაობაზე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საპროცესო საჩივარი რეაგირების გარეშე დარჩა.

17. 2004 წლის მაისს, მომჩივანმა კიდევ ერთხელ მიმართა გენ. პროკურატურას თხოვნით, ხელახლა განეხილა საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. იგი მიუთითებდა არასათანადო მოპყრობაზე, რომელსაც მისი თქმით, ადგილი ჰქონდა რუსთავის პოლიციის განყოფილებაში და ფულის გამოძალაზე, რომელსაც, მისივე მტკიცებით, ახორციელებდა ქ. რუსთავის პროკურატურის გამომძიებელი, ბატონი მ.. 2004 წლის 24 მაისს, გენ. პროკურატურამ განცხადება დაუსაბუთებლად ჩათვალა და განსახილველად არ მიიღო. მომჩივნის მიერ გასაჩივრების შემდგომ, 2004 წლის 28 ივლისს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უცვლელად დატოვა გენ. პროკურატურის 2004 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

18. 2004 წლის 5 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 2004 წლის 24 მაისისა და 28 ივლისის გადაწყვეტილებები იმ მოტივით, რომ გაუპატიურების საქმის გამოძიების განახლებაზე უარის გადაწყვეტილებას წინ არ უძლოდა მომჩივნის მიერ წაყენებულ ბრალდებათა გამოძიება. მან პროკურატურას დაავალა კონკრეტული საგამომძიებო მოქმედებების განხორციელება, მათ შორის, მომჩივნისა და მისი მოწმის, ბატონი ბ-ს დაკითხვა, რომელიც სავარაუდოდ დაადასტურებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებებს.

19. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, 2005 წლის 5 თებერვალს, ქ. რუსთავის პროკურატურამ გამოიკვლია და არ გაითვალისწინა მომჩივნის მოთხოვნა გაუპატიურების საქმის გამოძიების განახლებაზე. თუმცა, 2005 წლის 4 აპრილს, ქვ. ქართლის საოლქო პროკურატურამ გააუქმა 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ქ. რუსთავის პროკურატურამ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, არ დაკითხა მომჩივანი. ქვ. ქართლის საოლქო პროკურატურამ საქმე დამატებითი მოკვლევისთვის ხელახლა გადაუგზავნა ქ. რუსთავის პროკურატურას.

20. 2005 წლის 27 აპრილს, ქ. რუსთავის პროკურატურამ გადაწყვიტა, დაეკითხა მომჩივანი, თუმცა, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, ვინაიდან, მისი თქმით, მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი მონაწილე გამომძიებელი იმ დროისთვის ქ. რუსთავის პროკურატურის თანამშრომელი იყო. იმავე დღეს, პროკურატურამ დაუსაბუთებლობის მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე.

21. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მომჩივანმა დაუდგენელ დროს გასაჩივრა ქ. რუსთავის პროკურატურის 2005 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება. 2005 წლის 19 დეკემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან იგი ვადის დარღვევით იყო შეტანილი.

22. საქმის მასალების თანახმად, 2004 წლის 28 დეკემბერს, მომჩივანმა ასევე მოსთხოვა გენ. პროკურატურას, აღედრა სისხლის სამართლის საქმე არასათანადო მოპყრობის, გამოძალვისა და ექსპერტის დასკვნის გაყალბების ფაქტებზე, რომლებიც გამომძიებელმა მ.-მ ჩაიდინა. 2004 წლის 31 დეკემბერს, გენ. პროკურატურამ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოების გამო. გენ. პროკურატურამ ჩაატარა მოკვლევა და გამოიტანა დასკვნა მომჩივნის მიერ წამოჭრილ გამოძალვისა და სამედიცინო დასკვნების გაყალბების ფაქტებზე. თუმცა, არ ჩატარებულა მოკვლევა და შესაბამისად, არც პასუხი გაუციათ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.

23. 2005 წლის 5 დეკემბერს, თბილისის რაიონულმა სასამართლომ, პირველი ინსტანციით, უსაფუძვლოების მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებულ იქნა გენ. პროკურატურის 2004 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება. სასამართლომ დაადგინა, რომ გენ. პროკურატურამ ჩაატარა საკმარისი მოკვლევა მომჩივნის ყველა საჩივართან დაკავშირებით სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა სისხლის სამართლის საქმის არ-აღძვრის თაობაზე. სასამართლომ ასევე გააკრიტიკა მომჩივანი იმის გამო, რომ მან არ შეიტანა საჩივარი გამომძიებელ, მ.-ს წინააღმდეგ გაუპატიურების საქმის დასრულებამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ, საბოლოო ინსტანციით 2006 წლის 21 თებერვალს, არ დააკმაყოფილა საჩივარი გამომძიებელ მ.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე. და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გენ. პროკურატურის 2004 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება ასახავდა საფუძვლიანი მოკვლევის შედეგებს იმ გარემოებების თაობაზე, რომელიც მომჩივნის საჩივარს ეხებოდა.

(ბ) 2005 წლის 5 დეკემბერს, საჩივრის მთავრობისათვის კომუნიფიცირების შემდეგ

24. 2006 წლის 24 იანვარს, ქვ. ქართლის საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე (№042068005) აღძრა მომჩივნის 2004 წლის 28 დეკემბრის საჩივრის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა 2001 წლის 23-25 მაისს მის მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (იხ. §22).

25. 2006 წლის 27 იანვარს, გენ. პროკურატურამ ჩამოართვა სისხლის სამართლის საქმე ქვ. ქართლის საოლქო პროკურატურას და გამოძიებისათვის გადასცა ქ. თბილისის პროკურატურას.

26. 2006 წლის 20 აგვისტოს წერილით, მომჩივანმა ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ იგი დაიკითხა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

27. 2007 წლის 15 მარტს, ქ. თბილისის პროკურატურამ გადაწყვიტა, დაეხურა საქმე, ვინაიდან მიუხედავად ყველა შესაძლო საგამომძიებო მოქმედების ამოწურვისა, საქმეზე ვერ იქნა მოპოვებული ობიექტური მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ბრალდებას. როგორც აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, გაურკვეველ დროს, ქ. თბილისის პროკურატურამ დაკითხა მომჩივანი, ქ. რუსთავის პროკურატურის

გამომძიებლები, ბ-ნები მ. და ა., რუსთავის პოლიციის განყოფილების უფროსი თანამშრომელი ბ-ნი გ. და 10 სხვა პოლიციელი, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულები იყვნენ მომჩივნის რუსთავის პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, 2001 წლის 23-25 მაისს მომხდარ შემთხვევასთან. მომჩივანმა გაიმეორა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები (იხ. §9), რაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უარყვეს.

28. 2007 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით ასევე გამოვლინდა, რომ ქ. თბილისის პროკურატურის მითითებით, შესაბამისმა საექსპერტო დაწესებულებამ 2007 წლის 13 მარტს შეისწავლა თბილისის №1 საპყრობილის სამედიცინო ჟურნალი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამდენად, 2007 წლის 13 მარტის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა 2003 წლის 16 ივლისის ციხის სამედიცინო დასკვნის ტექსტს, ადასტურებდა საჩვენებელი თითების მოტეხილობას, ისევე, როგორც ზოგადად მომჩივნის სხეულზე კერძოდ, მარცხენა მკლავზე არსებულ რამდენიმე სხვა ტრავმას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნის მიხედვით, შეუძლებელი იყო მოტეხილობის გამომწვევი მიზეზებისა და თარიღების დადგენა.

29. ქ. თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მომჩივანი მონაწილეობდა 1990-1994 წლისწლის შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონში; მომჩივანმა გარკვევით განუცხადა ქ. თბილისის პროკურატურას, რომ მან მარცხენა მკლავის დაზიანება აღნიშნული კონფლიქტის დროს მიიღო.

30. 2007 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება ასკვნის, რომ გამოძიებით არ გამოვლინდა რაიმე სახის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ 2001 წლის 23-25 მაისს, ქ. რუსთავის პროკურატურის თანამშრომლები განმცხადებელს არასათანადოდ ეპყრობოდნენ. გადაწყვეტილებაში დამატებით დასაბუთებულია, რომ ვინაიდან მომჩივანმა აღნიშნული საკითხი პირველად მხოლოდ მას შემდეგ წამოჭრა, რაც მის წინააღმდეგ გამოტანილი 2001 წლის 12 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენი საბოლოო გახდა, შეიძლება ივარაუდოს, რომ მის მიერ გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს და გამიზნული იყო მხოლოდ იმისკენ, რომ მომხდარიყო გაუპატიურების საქმეზე ხელახალი გამოძიების დაწყება.

31. მომჩივანმა ქ. თბილისის პროკურატურის 2007 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, მისი გაუქმებისა და გამოძიების გაგრძელების მოთხოვნით, სასამართლოში გაასაჩივრა. იგი გარკვევით ითხოვდა მისი სარჩელიმ ზეპირ მოსმენაზე განხილვას, რათა მას, როგორც მსხვერპლს, მისცემოდა საშუალება, პირადად წარედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის მოტივით როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ, შესაბამისად, 2007 წლის 12 ივნისსა და 6 სექტემბერს, რის შემდგომაც აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო გახდა. ორივე ინსტანციამ საქმე დახურულ სხდომაზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. როგორც სასამართლოს

2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით გამოვლინდა, მხარეებს შორის არ მომხდარა წერილობითი მოსაზრებების გაცვლა.

3. საერთაშორისო სამართალწარმოება

32. მომჩივნის თანახმად, ევროსასამართლოში საჩივრის შეტანასთან ერთად, მან საჩივარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტშიც გაგზავნა. მომჩივანმა არ დააკონკრეტა საჩივრის შინაარსი, ისევე როგორც მისი შეტანისა და/ან კომიტეტის მიერ მისი მიღების თარიღი, არც შემდგომი პროცესები.

სამართალი

1. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

33. მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ რუსთავის პოლიციაში დაკავების პერიოდში, 2001 წლის 23-25 მაისს და რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა სათანადოდ არ გამოიძიეს აღნიშნული საკითხი. მომჩივანი არსებითად დაეყრდნო კონვენციის მე-3-ე მუხლს, რომლის თანახმად:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს”.

ა. დასაშვებობა

1. მხარეთა თავდაპირველი არგუმენტები

34. საჩივრის დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით წარდგენილ მიმოხილვაში, მთავრობამ მიუთითა, რომ ვინაიდან მომჩივანმა როგორც ჩანს, შეიტანა საჩივარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, მისი საჩივარი უნდა დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი კონვენციის 35§2 „ბ“ მუხლის საფუძველზე. აღნიშნული არგუმენტის გასამყარებლად, მთავრობამ წარადგინა მომჩივნის მიერ უზენაეს სასამართლოში შეტანილი მრავალრიცხოვანი სარჩელების ასლები. აღნიშნულ საჩივრებში, მომჩივანი ჩიოდა რა შიდა სასამართლო წარმოების ობიექტურობასთან დაკავშირებით, ამავდროულად ყოველთვის აფრთხილებდა უზენაეს სასამართლოს, რომ მოცემული საჩივრების გარდა, მან აგრეთვე გაგზავნა საჩივარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში. მას არასოდეს დაუზუსტებია

აღნიშნული საჩივრის შინაარსი ან თარიღი და მხოლოდ აღნიშნავდა, რომ იგი მიზნად ისახავდა, “დაემტკიცებინა მისი უდანაშაულობა”.

35. მთავრობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ საჩივარი დაგვიანებული იყო, რადგან ის არ იქნა შეტანილი ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ, 2002 წლის 16 აპრილს, გაუპატიურების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ამასთანავე, ვინაიდან განმცხადებელს არასოდეს უჩივლია არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიების ან შემდგომ, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას - გაუპატიურების საქმის განხილვის დროს, მთავრობამ ამტკიცებდა, რომ აღნიშნული საჩივარი, კონვენციის მე-3 მუხლის ნაწილში დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი, ვინაიდან არ იყო ამოწურული მიმართვის შედასამართლებრივი საშუალებები.

36. დაბოლოს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიების საპირისპირო შედეგების გათვალისწინებით, მომჩივნის მიერ, არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოთქმული ბრალდებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ამდენად, ისინი უნდა ყოფილიყო უარყოფილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

37. მთავრობის მიმოხილვასთან დაკავშირებით გაგზავნილ შეპასუხებაში მომჩივანმა განაცხადა, რომ მან მართლაც გაგზავნა საჩივარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში. როგორც მომჩივნის შეპასუხებიდან გაირკვა, მას აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით პასუხი არ მიუღია.

38. მომჩივანმა უარყო მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მას არასათანადო მოპყრობის ფაქტი არ გაუსაჩივრებია გაუპატიურების საქმის მსვლელობის დროს; თუმცა, მას არ დაუზუსტებია თუ როდის და რომელი ორგანოს წინაშე დააყენა აღნიშნული საკითხი.

2. მთავრობის მიერ, სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილი დამატებითი ინფორმაცია

39. ვინაიდან, მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეთქვა საკუთარი პოზიცია მთავრობის მიერ, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მონაწილეობაზე წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, 2008 წლის 6 მაისს, სასამართლომ გადაწყვიტა, ამ კონკრეტულ საკითხზე (იხ. §6 ზემოთ) მოეთხოვა დამატებითი ინფორმაცია რეგლამენტის 54§ 2 (ა) მუხლის შესაბამისად.

40. მხარეებს ეთხოვათ, ეცნობებინათ სასამართლოსათვის, იყო თუ არა მომჩივნის ინდივიდუალური საჩივარი მიღებული და დაეგისტრირებული გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, იყო თუ არა დაწყებული რაიმე პროცედურა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეხებოდა თუ არა აღნიშნული პროცედურა იმავე ფაქტებსა და პრეტენზიებს, რაც ევროპული სასამართლოს წინაშე იქნა წარდგენილი

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე (იხ. *Folgero and Others v. Norway* (dec.), no. 15472/02, 14 February 2006);

41. 2008 წლის 18 ივნისის საპასუხო წერილით, მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ გაერო-ს ადამიანთა უფლებათა კომიტეტმა არ დაადასტურა მომჩივნის მიერ მისთვის ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის ფაქტი.

3. სასამართლოს შეფასება

ა. პრეტენზია სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან მომრიგებელი პროცედურის არსებობის შესახებ

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35§2 „ბ“ მუხლი მიზნად ისახავს, ერთსა და იმავე საქმეში რამდენიმე საერთაშორისო პროცედურის ერთდროულად არსებობის თავიდან აცილებას (იხ. *Smirnova and Smirnova v. Russia* (dec.), nos. 46133/99 and 48183/99, 3 October 2002). აღნიშნული საკითხის განხილვისას, სასამართლომ უნდა დაადგინოს თუ რამდენად ეხება სხვადასხვა ორგანოებში წარდგენილი განაცხადები ერთსა და იმავე ადამიანს, ფაქტებსა და პრეტენზიებს. შესაძლოა, რომ თუნდაც ერთი და იგივე ფაქტის ირგვლივ სხვადასხვა სახის საჩივარი არსებობდეს სასამართლოსა და საერთაშორისო დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურის წინაშე და ამგვარად, გამორიცხოს კონვენციის 35§2 „ბ“ მუხლის გამოყენება (იხ. *Pauger v. Austria*, no. 16717/90, Commission decision of 9 January 1995, (DR) 80 A, p. 24; *Evaldsson and Others v. Sweden* (dec.), no. 75252/01, 28 March 2006).

43. სასამართლო აღიარებს, რომ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც შექმნილია „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ 1966 წლის პაქტის საფუძველზე, წარმოადგენს „საერთაშორისო საგამომიებო პროცედურას“ კონვენციის 35§2 „ბ“ მუხლის მიზნებისთვის (იხ. *Hill v. Spain* (dec.), no. 61892/00, 4 December 2001). თუმცა, წინამდებარე საქმის გარემოებების, კერძოდ, 2008 წლის 18 ივნისის მთავრობის პასუხის გათვალისწინებით, (იხ. §41) სასამართლო ასკვნის, რომ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტს მომჩივნისგან არ მიუღია ინდივიდუალური საჩივარი. აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება, რომ აღნიშნული ორგანოს წინაშე მიმდინარეობს რაიმე სახის წარმოება, რომელიც ეხება იმავე პრეტენზიებს, რაც განმცხადებელს წარმოადგენილი აქვს ევროპული სასამართლოს წინაშე.

44. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ აკმაყოფილებს მთავრობის არგუმენტს კონვენციის 35§2 მუხლის საფუძველზე საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

(ბ) პრეტენზია საჩივრის უსაფუძვლოდ, დაგვიანებით წარდგენისა და მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის შესახებ

45. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის ადგილი ჰქონდა უთანხმოებას იმასთან დაკავშირებით, წამოაყენა თუ არა მომჩივანმა არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზია გაუპატიურების საქმის მსვლელობის დროს. მომჩივნის მხრიდან ნებისმიერი მტკიცებულების წარუდგენლობის გათვალისწინებით, რომელიც დაადასტურებდა მოვლენათა მისეულ ვერსიას, სასამართლო ასკვნის, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან მიმართებით საჩივარი პირველად მხოლოდ 2002 წლის 16 აპრილის უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ იქნა წარდგენილი.

46. მიუხედავად ზემოთქმულისა, სასამართლო არ თვლის, რომ განმცხადებელს მხოლოდ გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით არსებული სისხლის სამართალწარმოების დროს შეეძლო წამოეყენებინა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები. როგორც სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან ირკვევა, არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, თავისუფლებაშეზღუდულ განმცხადებელთა მიერ ცალკე შეტანილი საჩივარი, ზედამხედველ სახელმწიფო მოხელეთა პასუხისმგებლობის დაყენების მიზნით, ზოგადად, შეიძლება დაცვის ეფექტურ საშუალებად ჩაითვალოს. (იხ. სხვათა შორის, *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia* (dec.), no. 1704/06, 26 June 2007; *Davtian v. Georgia* (dec.), no. 73241/01, 6 September 2005; *Trubnikov v. Russia* (dec.), no. 49790/99, 14 October 2003). ვინაიდან მომჩივანმა ამგვარი საჩივრით მართლაც მიმართა კომპეტენტურ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს, რომლის საფუძველზეც ორი სხვადასხვა პროცესის წარმოება მოხდა 2004-2006 წლებში (იხ. §§ 16-22), მთავრობის არგუმენტები მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვასა და ვადის დაუცველობასთან დაკავშირებით, ვერ იქნება გაზიარებული.

47. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ შიდა გამოძიების შედეგებიდან გამომდინარე, მომჩივნის პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, აშკარად დაუსაბუთებელია, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი არსებით განხილვას საჭიროებს.

(გ) დასკვნა

48. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით წარმოდგენილი პრეტენზიები არ შეიძლება უარყოფილ იქნას მთავრობის არგუმენტების საფუძველზე. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი ნებისმიერი სხვა საფუძვლის გამო. შესაბამისად, ის დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

49. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამის საბუთად მთავრობამ მოიხმო ქ. თბილისის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე № 042068005-ში (იხ. §§ 24-30) არსებული, მომჩივნის არგუმენტების საწინააღმდეგო დასკვნები. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქ. რუსთავის პროკურატურამ და რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა უარყვეს ბრალდება, რომ განმცხადებელს მიადგა ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა რუსთავის პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, 2001 წლის 23-25 მაისს.

50. მთავრობამ დამატებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მომჩივნისთვის ქ. თბილისის პროკურატურის ინიციატივით ჩატარებული სამედიცინო შემოწმებით, ვერ დადგინდა მისი საჩვენებელი თითის მოტეხილობის ზუსტი მიზეზი და თარიღი. ასევე, მთავრობამ მიუთითა თავად მომჩივნის მიერ ნახსენებ ფაქტზე, რომ იგი დაიჭრა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (იხ. §29) და განაცხადა, რომ სავარაუდოდ, აღნიშნულ მოტეხილობებს შესაძლოა იმ პერიოდში ჰქონოდა ადგილი.

51. მთავრობის მტკიცებით, მიუხედავად ყველა შესაძლო საგამომიებო ღონისძიების ამოწურვისა, ქ. თბილისის პროკურატურამ ვერ შეძლო რაიმე მტკიცებულების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არასათანადოდ მოეპყრნენ. შესაბამისად, პროკურატურამ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებები და აღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნის საჩივარი ამ კონკრეტული კუთხითაც იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

52. მთავრობამ შესთავაზა სასამართლოს, გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ განმცხადებელს არ წამოუყენებია მსგავსი პრეტენზია გაუპატიურების საქმის განხილვის პროცესში. ამგვარად, მაგალითად, როდესაც ადგილი ჰქონდა საჩივრის შეტანის ფაქტს 2001 წლის 11 ივლისს, იმის თაობაზე, რომ გამომძიებელ, მ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა საპროცესო დარღვევას, განმცხადებელს არ წამოუყენებია არასათანადო მოპყრობის საკითხი. ასევე, პირველ საჩივარში, რომელიც მომჩივანმა შეიტანა გენ. პროკურატურაში 2002 წლის 16 აპრილის საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, არავითარი მსგავსი პრეტენზია არ ყოფილა დაყენებული (იხ. §§ 12 და 16). მთავრობის აზრით, აღნიშნული ფაქტორები მომჩივნის არაგულწრფელობაზე მეტყველებს. არასათანადო მოპყრობის შესახებ მისი ბრალდებები კი მხოლოდ გაუპატიურების საქმის გადასინჯვას ისახავდა მიზნად.

53. საპასუხოდ, მომჩივანმა განმეორებით მიუთითა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რუსთავის პოლიციის განყოფილებაში, 2001 წლის 23-25 მაისს, რის შედეგადაც მას მოტყდა ყბა, ორი კბილი და სამი თითი. იგი ამ ფაქტებთან დაკავშირებით ამტკიცებდა, რომ ქ. თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ზუსტი და ობიექტური. განცხადებელი, 2007 წლის 15 მარტის

გადაწყვეტილების საპირისპიროდ, ამტკიცებდა, რომ ის არ დაუკითხავთ გამოძიების პროცესში (იხ. §27). აღნიშნულის დასასაბუთებლად, მან წარადგინა თბილისის №1 საპრობილის ზედამხედველის 2007 წლის 31 ოქტომბრის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ პროკურორი, რომელმაც ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, 2007 წლის იანვრიდან არ შესულა ციხეში. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ყოფილა შემოწმებული ქ. თბილისის პროკურატურის გამოძიების მსვლელობის დროს. ის ასევე პრეტენზიას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი დამნაშავე, ბატონი, გ., რომელიც თითქოსდა გამოძიების პროცესში დაიკითხა (იხ. §27), სინამდვილეში სისხლის სამართლის №042068005 საქმის აღძვრამდე გარდაიცვალა.

54. მომჩივანი ასევე ჩიოდა, რომ ქ. თბილისის პროკურატურამ არ დაკითხა მისი მეუღლე, მეზობლები ან ბ-ნი, ს., ადვოკატი, რომელიც მას დაენიშნა გაუპატიურების საქმის განხილვის დროს. იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ მოწმეებს შეეძლოთ, დაედასტურებინათ მის მიმართ არასათანადო მოპყრობა, როცა იგი დაკავებული იყო პოლიციაში 2001 წლის 23-25 მაისს. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ შიდა სასამართლოებმა არ მოაწყვეს ზეპირი მოსმენა, როდესაც განხილებოდა მისი სარჩელი 2007 წლის 15 მაისის ქ. თბილისის პროკურატურის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ვინაიდან იგი იყო მსხვერპლი ამ სასამართლო პროცესში, აუცილებელი იყო მისი დასწრება აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე.

55. დაბოლოს, მომჩივნის მტკიცებით, იმის გამო, რომ მას არ ჰყავდა ადვოკატი და უკანასკნელი 11 თვის განმავლობაში, ნათესავებს არ მიეცათ მისი ციხეში მონახულების საშუალება, მან ვერ შეძლო, მოეპოვებინა მის მიერ წამოყენებულ ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ბრალდება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

56. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფასეულობას და აბსოლუტურ აკრძალვას აწესებს წამებაზე, არაკუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობაზე (იხ. მაგ.: *Aksoy v. Turkey*, judgment of 18 December 1996, *Reports of Judgments and Decisions* 1996-VI, p. 2278, § 62; *Aydın v. Turkey*, judgment of 25 September 1997, *Reports* 1997-VI, § 81). სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას დაკავებულ პირთა ფიზიკური ხელშეუხებლობა და რომ მტკიცებულებათა შეფასებისას, მან არაერთხელ გამოიყენა “გონივრულ ეჭვს მიღმა” სტანდარტი (იხ., სხვებს შორის, *Farbtuhs v. Latvia*, no. 4672/02, § 54, 2 December 2004). ასეთი მტკიცებულება შესაძლოა მომდინარეობდეს საკმაოდ ძლიერი, მკაფიო და შეთანხმებული დასკვნებიდან ან ფაქტების უეჭველი პრეზუმფციიდან (იხ. *Anguelova*

v. Bulgaria, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV; *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 36378/02, § 338, ECHR 2005-III).

57. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო, პირველ რიგში აღნიშავს, რომ, შიდა სასამართლო წარმოების შედეგად ვერ იქნა მოძიებული ხელშესახები სამხილი იმისა, რომ განმცხადებელს არასათანადოდ მოეპყრნენ რუსთავის პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 23-25 მაისს. შიდა სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების გარდა და განსაკუთრებით ზედმიწევნითი კრიტიკული განხილვის საფუძველზე (იხ. *Talat Tepe v. Turkey*, no. 31247/96, § 49, 21 December 2004), სასამართლოს არ ძალუძს მწირი სამედიცინო მასალისა (იხ. §§ 11, 15 და 28) და მომჩივნის ბრალდებების საფუძველზე დაასკვნას, რომ არასათანადო მოპყრობა ადგილი ჰქონდა “გონივრულ ეჭვს მიღმა” (იხ. *Davtian v. Georgia*, no. 73241/01, § 38, 27 July 2006; *Danelia v. Georgia*, no. 68622/01, §§ 42 and 43, 17 October 2006). აღნიშნული ინფორმაციის ნაკლებობა შესაბამისი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების ხარვეზების შედეგია (იხ. § 71 და 73-76).

58. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძია დაადგინოს კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დარღვევას პატიმრობისას მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით.

(ბ) არასათანადო გამოძიება

(i) ზოგადი პრინციპები

59. როდესაც პირი წამოჭრის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ იგი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რითაც დაირღვა მე-3 მუხლი, აღნიშნული მუხლი, კონვენციის 1-ლი მუხლით გარანტირებულ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, „*ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ (...) კონვენციით განსაზღვრულ უფლებები და თავისუფლებები*“, გულისხმობს, რომ საჭიროა ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება. აღნიშნული გამოძიება უნდა იძლეოდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენისა და დასჯის საშუალებას (იხ. *Assenov and Others v. Bulgaria*, judgment of 28 October 1998, *Reports* 1998-VIII, p. 3290, § 102; *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 131, ECHR 2000-IV). სხვა მხრივ, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არ იქნებოდა პრაქტიკაში განხორციელებადი და შესაძლოა, აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან, ადგილი ჰქონდეს ამ უფლებათა ბოროტად გამოყენებას მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ, სრული დაუსჯელობის ფონზე. (იხ. *Labita*, მოყვანილი ზემოთ, §131).

60. მაშინაც კი, როცა სასამართლო ვერ ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებათა ჩადენას, შესაძლებელია აღნიშნული მუხლის პროცედურული მხარის მოხმობა, რომლითაც გამოვლინდება ხელისუფლების მხრიდან სათანადო დროს მსგავს საჩივრებზე არაეფექტური რეაგირება. (იხ. *Khashiyev and Akayeva v. Russia*, nos. 57942/00 and 57945/00, § 178, 24 February 2005). გამოძიების ვალდებულება არის არა შედეგობრივი ვალდებულება, არამედ საშუალების. (იხ. *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, § 71, ECHR 2002-II).

61. იმისათვის, რომ გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შესაძლოა ზოგად საჭიროებად ჩაითვალოს გამოძიების მწარმოებელთა დამოუკიდებლობა განსახილველ მოვლენებში მონაწილე პირთაგან (იხ. *Barbu Anghelescu v. Romania*, no. 46430/99, § 66, 5 October 2004). ეს გულისხმობს არამარტო იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც (იხ. განსაკუთრებით, *Ergi v. Turkey*, judgment of 28 July 1998, *Reports* 1998-IV, §§ 83-84).

62. გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი ორგანოები ყოველთვის უნდა შეეცადონ, გაარკვიონ თუ რა მოხდა სინამდვილეში და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევ ან უსაფუძვლო დასკვნებს იმისათვის, რომ დახურონ გამოძიება ან სხვაგვარად გამოიტანონ დასკვნები. (იხ. *Assenov and Others*, მითითებული ზემოთ, §§ 103 et seq). მათ უნდა მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რათა უზრუნველყონ მტკიცებულებათა მოპოვება მოცემულ ინციდენტთან დაკავშირებით, მათ შორის, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები და სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები (იხ. *Tannkulu v. Turkey* [GC], no. 23763/94, ECHR 1999-IV, § 104 et seq.; *Gül v. Turkey*, no. 22676/93, § 89, 14 December 2000). ნებისმიერი ნაკლოვანება გამოძიების დროს, რომელიც ხელს უშლის დაზიანების გამომწვევი მიზეზის ან მასზე პასუხისმგებელი პირის დადგენას, არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს.

63. საბოლოოდ, გამოძიება უნდა იყოს სწრაფი. კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, სათანადო დროს მოახდინეს თუ არა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწრაფი რეაგირება წამოყენებულ საჩივრებთან მიმართებაში (იხ. *Corsacov v. Moldova*, no. 18944/02, § 70, 4 April 2006).

(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

64. სასამართლო თვლის, რომ მომჩივნის ბრალდებები, რომლებიც გაკეთდა შიდა ორგანოების წინაშე, მოიცავდა საკმაოდ კონკრეტულ ინფორმაციას - თარიღს, ადგილსა და არასათანადო მოპყრობის ხასიათს, დამნაშავეთა ვინაობას, კავშირს მის მიერ დასახელებულ ცემის ფაქტებსა და ჯანმრთელობის პრობლემებს შორის და ა.შ., იმისათვის, რომ ჩათვლილიყო სათანადო საჩივრად, რომელზე რეაგირება და ეფექტური გამოძიებაც აღნიშნული ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენდა. (იხ.

Davtian, judgement მითითებული ზემოთ, §42; *Petropoulou-Tsakiris v. Greece*, no. 44803/04, §47, 6 December 2007).

65. მეორე საკითხი, რომელიც უნდა განისაზღვროს, არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპეტენტური ორგანოები ვალდებული იყვნენ, გამოეძიებინათ მომჩივნის პრეტენზიები. ეს პერიოდი დაიწყო 2004 წლის მაისში, როდესაც მომჩივანმა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, პირველად შეიტანა საჩივარი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და დასრულდა 2007 წლის 6 სექტემბერს, როდესაც შიდა სასამართლოებმა საბოლოოდ დაადასტურეს გამოძიების დასრულება (იხ. §§ 17, 31 და 45).

66. სასამართლოს მიაჩნია, რომ საჭიროა მოხდეს აღნიშნული 3 წლისა და 4 თვის პერიოდის განხილვა შიდა ორგანოების მიერ გამოძიებასთან დაკავშირებით გატარებული ზომების კუთხით, 2006 წლის 24 იანვრამდე და მის შემდეგ (იხ. §14 ზემოთ)

67. რაც შეეხება 2006 წლის 24 იანვრამდე პერიოდს, საჩივარი არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით მომჩივანმა წარადგინა გაუპატიურების საქმის გადასინჯვისა მოთხოვნისა და გამომძიებელ მ.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ წაყენებული განცალკევებული მოთხოვნის ფარგლებში (იხ. §§ 17 და 22).

68. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინასწარი გამოძიება, რომელიც ეხება მომჩივნის საჩივარს მის წინააღმდეგ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც მისი მტკიცებით, განხორციელდა გამომძიებელ მ.-ს მიერ, არ იყო დამოუკიდებელი. კერძოდ, გამოძიება ეკისრებოდა რუსთავის პროკურატურას, რომლის თანამშრომელიც იყო მომჩივნის მიერ დასახელებული პიროვნება - ბ-ნი მ. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი გარკვევით ეწინააღმდეგებოდა ამგვარ ამკარა ინტერესთა კონფლიქტს. (იხ. *Toteva v. Bulgaria*, no. 42027/98, § 63, 19 May 2004; *Oğur v. Turkey* [GC], no. 21594/93, §§ 91-92, ECHR 1999-III).

69. მეტიც, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროკურატურის თანამშრომლებმა სრულყოფილად წარმართეს გამოძიების პროცესი, რადგან აღნიშნული პროცესის დროს არ დაუკითხავთ თავად მომჩივანი (იხ. *Petropoulou-Tsakiris*, cited above, §§ 50 and 53; *Bati and Others v. Turkey*, nos. 33097/96 and 57834/00, § 134, ECHR 2004-IV (extracts)). აღნიშნული ხარვეზი ასევე შეამჩნია უზენაესმა სასამართლომ, მაგრამ მისი გამოსწორება არც ამის შემდეგ მომხდარა (იხ. §§ 18-21).

70. რაც შეეხება მომჩივნის განცალკევებულ მოთხოვნას, მომხდარიყო ბატონი მ.-ს წინააღმდეგ საქმის აღძვრა, აღნიშნულის გარშემო წარმართული პროცედურა ცხადყოფს, რომ მისი საჩივარი არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით გენ. პროკურატურის არ განუხილავს, მაშინ, როდესაც მოხდა მომჩივნის ბრალდებათა შემოწმება გამოძალვასა და ექსპერტის დასკვნის გაყალბებასთან დაკავშირებით, არც მსგავსი დაკითხვა და შედეგად, რეაგირება არ მომხდარა მომჩივნის პრეტენზიაზე გამომძიებლის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. არც თბილისის რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა განმარტეს თუ როგორ

შეიძლება, მომჩივანის ბრალდებათა მსგავსი გაუთვალისწინებლობა ყოფილიყო „სრულყოფილი“ გამოძიება გენ. პროკურატურის მიერ. (იხ. §§ 22 და 23).

71. აღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ გამოძიება, რომელსაც დაეყრდნენ კომპეტენტური ორგანოები, რათა უარი ეთქვათ მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პროცესის აღძვრაზე, ამკარად იყო მოკლებული საჭირო დამოუკიდებლობასა და სრულყოფილებას. ეს სიტუაცია, რომელიც გაგრძელდა 2004 წლის მაისიდან 2006 წლის იანვრამდე, საკმარისია სასამართლოსათვის, რომ დაადგინოს მომჩივნის მიერ წამოჭრილ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეროვნული ორგანოების მიერ ეფექტური გამოძიების წარმოების ვალდებულების უგულვებელყოფა.

72. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის გახსნა 2006 წლის 24 იანვარს გენ. პროკურატურამ მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მთავრობას მომჩივნის მიერ ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრის შესახებ ეცნობა (იხ. §3), რასაც ადგილი ჰქონდა მომჩივნის მიერ აღნიშნული მოთხოვნის წამოყენებიდან თითქმის ორიწლის გასვლის შემდეგ (იხ. §22).

73. სასამართლო, უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ გენ. პროკურატურამ ჩამოართვა სისხლის სამართლის საქმე საოლქო პროკურატურას, რომლის წევრიც იყო გამომძიებელი, ბატონი მ. და გადასცა ქ. თბილისის პროკურატურას (იხ. §25), რომელიც არ წარმოადგენდა მომჩივნის მიერ დასახელებულ პირთა ქმედებაზე პასუხისმგებელ ორგანოს (იხ. §68). მეორე, სასამართლო უარყოფს მომჩივნის არგუმენტს, რომ იგი არ დაკითხულა ქ. თბილისის პროკურატურის მიერ, რადგან ის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა თავის 2006 წლის 20 აგვისტოს წერილში, (იხ. §26). მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის პროკურატურა უმეტესწილად დაეყრდნო ქ. რუსთავის პროკურატურისა და პოლიციის ინფორმაციას, რომლებსაც პირდაპირი ან ირიბი შეხება ჰქონდათ განსახილველ მოვლენებთან და არ მოიძიეს ინფორმაცია მომჩივნის მოწმეებისგან (იხ. მაგ. *Ergi*, cited above, §§ 83-84) ან არ დააპირისპირეს თავად მომჩივანი ბატონ მ.-ს, ბატონ ა.-სა და ბატონ გ.-ს, რომელთა მიმართაც მან პირდაპირი ბრალდებები წამოაყენა (იხ. დავითანი, გადაწყვეტილება მოყვანილი ზემოთ, §46), ეწინააღმდეგება ეფექტური გამოძიების პრინციპებს. სასამართლო ასევე მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თბილისის პროკურატურამ არ დაკითხა თბილისის №5 ციხის ექიმი, რომელმაც, როგორც ამტკიცებდა მომჩივანი, გასინჯა ეს უკანასკნელი და უარი განაცხადა, ჩაეწერა მის სხეულზე აღმოჩენილი იარაღის ნიშნები (იხ. §11). ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამოუკიდებელი და ზედმიწევნითი სამედიცინო შემოწმება, თბილისის პროკურატურამ საკმარისად ჩათვალა მხოლოდ ციხის სამედიცინო ჟურნალის შემოწმება (იხ. §28).

74. სასამართლო წუხილით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული გამოძიების დასრულება შიდა სასამართლოებმაც ზეპირი მოსმენის გარეშე დაადასტურეს. საქმის მასალები არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ჩატარდა გამჭვირვალე და შეჯიბრებითი ხასიათის წერილობითი პროცესი (იხ. §31). სასამართლო აღნიშნავს,

რომ ამ კუთხით საჯარო და შეჯიბრებითობის პრინციპით წარმართული სასამართლო განხილვა, თუნდაც აღნიშნული სასამართლო არ იყოს კომპეტენტური, რათა ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება ან სხვაგვარად დაადგინოს ფაქტები, წარმოადგენს გარანტს იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი განხილვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, რომლის მხარეებიც არიან მომჩივანი და პროკურატურის ორგანოები (იხ. *Ramishvili and Kokhredze*, decision, cited above; *Belevitskiy v. Russia*, no. 72967/01, § 61, 1 March 2007).

75. ზემოთ აღწერილი ხარვეზების გათვალისწინებით, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში გამოვლინდა, სასამართლო ასკვნის, რომ გამოძიება არ იყო ეფექტური.

76. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას.

II. კონვენციის 6§1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

77. მომჩივანმა განაცხადა კონვენციის 6§1 მუხლით გარანტირებული უფლებების საპროცესო დარღვევების თაობაზე გაუპატიურების საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე და სასამართლო პროცესის დროს. იგი თავს უდანაშაულოდ ცნობდა და განმარტავდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის გარემოებების არასწორი შეფასება მოახდინეს.

78. აღნიშნული პრეტენზია წარდგენილ იქნა წინამდებარე საჩივრის ფარგლებში, რომელიც სასამართლოში გაიგზავნა 2003 წლის 17 მარტს. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე, კონვენციის 35§1 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, გამოტანილ იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ 2002 წლის 16 აპრილს. მომჩივანი ესწრებოდა საკასაციო მოსმენას. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2002 წლის 23 მაისს, გენ. პროკურატურის მიერ საქმის ხელახალი გამოძიების შესახებ სარჩელის შეტანისას, მომჩივნისთვის უკვე ცნობილი იყო საკასაციო გადაწყვეტილება (იხ. §16 ზემოთ).

79. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის აღნიშნული ნაწილი ვადის გადაცილებით იქნა წარდგენილი და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი კონვენციის 35§1 მუხლის შესაბამისად.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

80. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ წამოუყენებია სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად, სასამართლო მას სამართლიან დაკმაყოფილებას არ მიაკუთვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს დასაშვებად, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს კი დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის არსებით დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2008 წლის 29 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

ფრანსუაზ ელენს-პასოსი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე;

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე